ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-11/069-14 11 03 2014 წ.

დადგენილება №000320
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

11.03.2014წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2014 წლის 07 მარტის №000320 შემოწმების აქტი, შედგენილი **ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ის** (მის: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვარტალი (ნაკვ. 10/001)) მიმართ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვარტალი (ნაკვ. 10/001), ს/კ №01.17.06.012.091-ზე ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ის მიერ, განხორციელდა სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ ნაწარმოებია სამი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, ასევე არსებულ შენობა-ნაგებობაზე მიშენებულია ლიფტის უჯრედი და ცენტრალური შესასვლელის მხარეს მოწყობილია გადახურვა. სასტუმრო „ფანდი"-ს ცენტრალური შესასვლელის პანდუსის ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს და გადასულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

2014 წლის 07 მარტს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000320, რომლითაც დაფიქსირდა ქ. თბილისში, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვარტალი (ნაკვ. 10/001), ს/კ №01.17.06.012.091-ზე ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ის მიერ სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ ნაწარმოებია სამი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, ასევე არსებულ შენობა-ნაგებობაზე მიშენებულია ლიფტის უჯრედი და ცენტრალური შესასვლელის მხარეს მოწყობილია გადახურვა. სასტუმრო „ფანდი"-ს ცენტრალური შესასვლელის

ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს და გადასულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

საქმეშია, ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ის დირექტორის მოქ. მიხეილი ჩოგოვაძის №12/14059518-16 28.02.14წ. განცხადება, რომლითაც მხარის მიერ მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება მხარის დასწრების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ის მიერ ჩადენილია "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვარტალი (ნაკვ. 10/001), ს/კ №01.17.06.012.091-ზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ ნაწარმოებია სამი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, ასევე არსებულ შენობა-ნაგებობაზე მიშენებულია ლიფტის უჯრედი და ცენტრალური შესასვლელის მხარეს მოწყობილია გადახურვა. სასტუმრო „ფანდი"-ს ცენტრალური შესასვლელის პანდუსის ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს და გადასულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტით

დავადგინე:

1. ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ი დაჯარიმდეს 10.000 (ათიათასი) ლარით ქ. თბილისში, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვარტალი (ნაკვ. 10/001), ს/კ №01.17.06.012.091-ზე უნებართვოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის, კერძოდ სამი შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის, ასევე არსებულ შენობა-ნაგებობაზე ლიფტის უჯრედის მიშენებისათვის და ცენტრალური შესასვლელის მხარეს გადახურვის მოწყობისათვის. საგულისხმოა, რომ სასტუმრო „ფანდი"-ს ცენტრალური შესასვლელის პანდუსის ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს და გადასულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე;

2. ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ის დაევალოს ქ. თბილისში, ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვარტალი (ნაკვ. 10/001), ს/კ №01.17.06.012.091-ზე უნებართვოდ ნაწარმოები სამი შენობა-ნაგებობის, არსებულ შენობა-ნაგებობაზე მიშენებული ლიფტის უჯრედის და ცენტრალური შესასვლელის მხარეს მოწყობილი გადახურვის დემონტაჟი;

3. ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ის დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დადგენილების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ს.ს. „ფანდ ინვესთმენთ"-ის დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე **შ. ზაქაშვილი**

საბადახდო დავალება № 3

13 მარტი 2014 წელი

გადამხდელის დასახელება: სს "ფანდ ინვესთმენთ" 404418117	თანხა
გადამხდელის ანგარიში: GE16BS0000000049036770	10000.00
გადამხდელის ბანკი ქ. თბილისი, სს "ბაზის ბანკი" ბანკის კოდი CBASGE22	
გადასახადის გადამხდელი დასახელება: სს "ფანდ ინვესთმენთ"	თანხა სიტყვებით ათი ათასი ლარი 00 თეთრი
საიდენტიფიკაციო კოდი 404418117	
მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში. არასაგადასახადო შემოსულობები	
მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი 300773263	
მიმღების ბანკი/ქ. თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის აღნიშვნები
გადახდის დანიშნულება ჯარიმის თანხა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე №000320 დადგენილების მიხედვით	ბანკში შემოსვლის თარიღი: 13 MAR 2014
დამატებითი ინფორმაცია	გატარებულია ბანკის მიერ: 13 MAR 2014
ხელმოწერები: ხელმძღვანელი: ბ. ა.	ხელმოწერა:
	შტამპის ადგილი

本页合计 71 3277.3 88185